



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



9475/3-17/21 2 14092021

9475/3-17/21

14-09-2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საქონლისა და მომსახურების ხარჯებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე



N 18/13990
16/02/2022

13990-18-2-202202161629



<https://edoc.mof.ge/public/#/>

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი მიმდინარე წლის 09-08-2021 #8425/3-17/21, 14-09-2021 #9476/3-17/21 და 14-09-2021 #9475/3-17/21 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 654 757 843.01 ლარი, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 359 630 762.72 ლარი. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პირების რაოდენობას რაც შეეხება, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობას, ამ საკითხზე პასუხი გამოგეგზავნათ 2018 წლის 7 დეკემბრის N18/148220 წერილით (იხილეთ დანართის სახით).

დანართი: 2 ფურცელი.

ცოტნე ყავლაშვილი

სახაზინო სამსახურის უფროსი





N 18/148220
07/12/2018

148220-18-2-201812070842



<https://edoc.mof.ge/public/#/>

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

განვიხილეთ თქვენი მიმდინარე წლის 19 ოქტომბრის N10159/3-24 წერილი, რომელიც ეხება ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სახელმწიფო სტრუქტურებში/ორგანიზაციებში შტატგარეშე დასაქმებულთა ოდენობისა და მათზე გაწეული/გასაწევი შრომის ანაზღაურების ხარჯის შესახებ.

გაცნობებით, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად გადახდების აღრიცხვას ახორციელებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. ასევე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული ანგარიშგება, თვეებისა და წლების მიხედვით, განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

გარდა ამისა, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 54-ე მუხლის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც



საქართველოს მთავრობის მიერ წარედგინება საქართველოს პარლამენტს, საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა. აღნიშნული ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მხარჯავი დაწესებულების/საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებების ხარჯვასთან დაკავშირებით კონკრეტული დეტალებისთვის უნდა მიმართოთ შესაბამის მხარჯავ დაწესებულებას/საბიუჯეტო ორგანიზაციას.

პატივისცემით,

ყავლაშვილი ცოტნე

სახაზინო სამსახურის უფროსი

